დემნას თავგადასავალი

მოამბე
1904

დ ე მ ნ ა ს

ა ნ უ

დიმიტრი ბატონიშვილის თავგადასავალი

(მ. ბროსსე: დამატებანი და განმარტებანი ქართლის ცხოვრებისა).

სიკვდილის ჟამი რომ მოუახლოვდა, ამბობს სტეფანოს ორბელიანი, დავით III დაიბარა კათალიკოზი, პირველნი დიდებულნი და მათთან ერთად ძმა თავისი გიორგი და შვილი თავისი დემნა. წინ სალოცავი თავისი ხატი დაისვენა, ჯვარი წამებულისა და წმინდა სახარება და უთხრა: „საქართველოს დიდებულნო, კარგად მოგეხსენებათ, რაოდენი ღვაწლი დაგდოთ მამაჩემმან; მან აღადგინა სამეფო და სიკვდილის წინ მე დამილოცა იგი წმინდა, დანაწერი ანდერძით. მე უკვე ვგრძნობ აღსასრულსა ჩემსა; ჩემს ძმას გიორგის, თითონაც აქა ბრძანდება, არავითარი უფლება არა აქვს სამეფო ტახტზედ და როგორც მე მერგო სამეფო გვირგვინი მამაჩემისგან, ისე მე გარდავცემ გვირგვინს ჩემს შვილს დემნას თქვენ, დიდებულთა, თანადასწრებით. შენ, ძმაო გიორგი, ჩემი ალაგი დაიჭირე, მხედართ მთავრობა გაუწიე ქვეყნის ჯარებს, მამიჩვენის ანდერძით შენთვის ბოძებულ მამულით ისარგებლე, ვიდრე ჩემი შვილი დავაჟკაცდება.“ ივანეს დაუძახა, სემბათ ორბელიანის შვილს დააფიცა, რომ წმინდად აასრულებს მის უკანასკნელ ბრძანებას; მერმე აიყვანა თავისი შვილი და ივანეს ჩააბარა. შემდეგ სხვა დიდებულნი დააფიცა, ბატონიშვილს არ ვუღალატებთ და

რა დავაჟკაცდება, მეფედ ვაკურთხებო; მიიცვალა და*) წინაპართა სასაფლავოში გელათში იქმნა დაკრძალული. მას შემდეგ ბავშვი ივანეს სახლში იზრდებოდა და იწრთვნებოდა.

გიორგიმ უწარჩინებულეს დიდებულთა და კათალიკოზის გული მოიგო, მეფობა განიძრახა, მაგრამ ვერ გაებედნა და ვერ გაემხილებინა თავისი წადილი სუმბათ ორბელიანის და

მის შვილებ ივანე და ლიპარიტისთვის. ერთის თვის შემდეგ გიორგისთან შეკრბენ ყველა დიდებულნი და აზნაურნი და ივანეც მივიდა თავისიანებით. გიორგიმ გააგებინა თავისი განძრახვა და ბევრის ხვეწნით და ვედრებით დაარწმუნა – მე არაფერს წავართმევ ჩემს ძმისწულს და როდესაც გაიზრდება და დავაჟკაცდება, სამეფო ტახტზედ დავსვამ თანახმად ჩემის ძმის ანდერძისაო. გიორგი ბედნიერი კაცი იყო ყოველ თავის საქმეში, ძალით აღსავსე და მეტად სამართლიანი. გიორგის დროს მეტად გაფართოვდა სამეფო; პირად თითონაც ბევრს ომში დაესწრო თავის მხედრობით და მამაც მხედართ მთავარ ივანეს წინამძღოლობით სრულიად შეარყია სპარსთა და თურქთა ძალა. ამ გიორგიმ აიღო ქალაქი ანი 610-1161წ. მერმე მთელი შირაქი, რომელიც ივანეს უბოძა, პირველს მხედართმთავარს საქართველოისას, შვილს სემბატ ორბელიანისას, ისე რომ მას შემდეგ მის საკუთრებად დაიდვა. ერთხელ ანის კარებთან ამ ივანემ დაამარცხა შაჰი-არმენი, რომელიც ქალაქის ასაკლებად წამოსულიყო 40000 კაცით; მეფეს არ დაუცადა, რომელიც საშველად მოდიოდა, და ისე შეება მტერს. მეორედ მძლავრი ათაბეგი ილდიგუზი დაამარცხა გაგის მინდორში, როდესაც 100000 კაცით მოდიოდა მეფის გიორგის წინააღმდეგ საქართველოს ასაოხრებლად და მეფის წარსატყვევნად. ივანე ისე მოხერხებულად მოიქცა და თავის გმირულ ვაჟკაცობით იმისთანა უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა მტერი, რომ მან მიუტოვა კარვები, იარაღი, მრავალი სურსათი და საკლავ-საბამი საქონელი და გაიქცა ღამე. მაგრამ მიუხედავად ამოდენა

*) 1154 წელს. რედ.

სამსახურისა და ბრწყინვალე საქციელისა, მეფე მხოლოდ გარეგნად უმადლოდა ივანეს, პატივსა სცემდა და დიდებას ანიჭებდა. გულის სიღრმეში კი უნდობლობა ედვა მის ნორჩ მოწაფისა გამო და შემთხვევას ეძებდა, მაგრამ ამაოდ, რომ ჩუმად მოეწამლა ბატონიშვილი; მაგრამ ივანემ იცოდა მისი განძრახვა. მამა მისი სემბათი დიდს სიბერეში მოკვდა და დასაფლავებულ იქმნა თავის წინაპართა შორის, საერისთავოს მემკვიდრეობა გარდასცა თავის შვილებს ივანეს და ლიპარიტს.

წელსა 626 – 1177 არეულობა მოხდა საქართველოში და ორბელიანთა გვარი მთლად ამოწყვეტილ იქმნა. მეფე გიორგი 21 წელიწადი მეფობდა და ყმაწვილი დემნა დავაჟკაცდა. როდესაც ივანე, იმისი ძმები და შვილები სოფ. დარბაზში, აგარაკში იმყოფებოდნენ რა განცხრომას ეძლეოდნენ, დაინახეს უმთავრესნი დიდებულნი და მათთან ერთად დემნა მათკენ მიმავალი. ივანე, – უთხრეს დიდებულთა, – მოიგონე რას შეჰპირდი და რა შეჰფიცე მეფე დავითს; გაფრთხილდი, ფიცი არ გატეხო. დრო არის სამეფო ტახტზედ აბრძანდეს ბატონიშვილი; გიორგი სახატეში ბრძანდება რამდენიმე მხლებელით; ჩვენ ყველანი მზადა ვართ ჩვენი მოვალეობა ავასრულოთ.
– ღმერთმა დაგვიფაროს, – უპასუხა ივანემ, – ფიქრადაც არ უნდა მოგვივიდეს მირონცხებულის მოკვლა. მაგრამ შეფიცულის

ასასრულებლად, დემნა ტახტზედ დავსვათ, გიორგი დავიჭი-
როთ, წმინდა ფიცი დავადებინოთ და ხელიც მოვაწერინოთ,
რომ დაემორჩილება თავის ძმისწულს; მაშინ გავანთავისუფ-
ლოთ და ნება მივცეთ თავის მამულში იცხოვროს. ყველანი
დაეთანხმნენ ამ აზრს და საჩქაროდ ჯარების კრებას შეუდგნენ.
მაგრამ ერთი მცირე წლოვანი ყმაწვილი, რომელსაც გაეგო
ეს გარდაწყვეტილება, ღამე წავიდა და მეფეს შეატყობინა.
მეფე მაშინადვე ცხენს მოახტა, თბილისს გაიქცა და იქ გამა-
გრდა. ივანემ ამისი არა იცოდა რა და მხედართ აგროვებდა
და ჯარს ამზადებდა. ყველა დიდებული და პატიოსანი ქარ-
თველი თანაუგრძნობდა და მის დასახმარებლად მრავლად მი-
დიოდნენ დარბაზს, აგარაკში. აქ იყვნენ ერისთავნი ქართლი-

სა*), ყვარყვარე, ერისთავნი ჯავახეთისა, კახაი და ამისი შვილი,
დიდი გამრეკელი, მებნაი ჯაყელი, ერისთავნი ტაშირისა, ჰასან
კაიენელი, გრიგოლ) შვილი ამპირატისა, ანელი, რომელთა შეერ-
თებულნი ძალნი 30 თას კაცზედ მეტს შეადგენდნენ. მარტოდ,
უჯაროდ დარჩენილმა მეფემ დაიბარა ვინმე ყიპჩაყი, ყუბასა-
რად წოდებული და რაკი სხვა მოსარჩლე არა ჰყავდა, მოა-
ხერხა და 5000 კაცამდე შეკრიბა. რა გაიგეს შეთქმულთ ქა-
ლაქში მისვლა მეფისა და იქ გამაგრება, ტფილისისაკენ არ
გაემართნენ შესაბრძოლებლად და ელოდნენ, მეფე თითონ
ამხედრდება ჩვენს წინააღმდეგო. რაკი ძალიან გაგრძელდა
საქმე, გამრეკელი დაემორჩილა ადამიანის გონების ბუნებრივს
დაუდგრომლობას, მოსწყდა შეთქმულობას და გიორგისთან
მივიდა ღამე. ეს რომ ნახა, გრიგოლ მაჟისტროსიანიც ასევე
მოიქცა, სხვებმაც ამათ წაბაძეს და ერთი ერთმანერთის საი-
დუმლოდ მიდიოდნენ და თავს უკრავდნენ მეფეს, ისე რომ
მისი ძალა მით უფრო მძლავრდებოდა, რამდენადაც დემნა
სუსტდებდა. მართლაც ვინც კი გიორგის მხარეს გადავიდა,
დიდი პატივისცემით მიიღო მეფემ, საჩუქრებით აავსო, მხია-
რულად დროს ატარებინებდა და დიდს წყალობას ჰპირდებო-
და, – ყველაფერს წავართმევ ორბელიანთ და თქვენ მოგანი-
ჭებთო. რაკი ასე მომაგრდა და გაძლიერდა გიორგი და ამა-
სთან თავის ძმისწულის და ივანეს სისუსტეც იცოდა, დიდი
ლაშქრით ამხედრდა მეფე. ეს რომ გაიგო, ივანემ სამშვილდეს
ციხეში მოაგროვა რაც კი ებადა თავის საგვარეულოს სალა-
რო ძველის-ძველ დროიდგან შეძენილი და სარჩო საბადებე-
ლი; იქ უწარჩინებულესი მხედართმთავარნი დატოვა, თითონ
კი თავის ჯარით და თავის და დემნას დიდებულ მომხრეებით
ლორში შევიდა და მეტად გამაგრდა. თავისი ძმა ლიპარიტ და
ორი თავისი შვილი ათაბეგს ილდიღუზთან გაგზავნა ჯარებით
შველის სათხოვნელად. აგარაკს რომ მივიდა, მეფე გიორგიმ
აქ ვერავინ ჰპოვა, სამშვილდეს ალყა შემოარტყა, 25

*) ავტორი უცვლელად ხმარობს სიტყვებს „ქართლის ერისთავნი“ და ეს ამტკიცებს, რომ ქართულით უნდა იყოს თარგმანი ეს ცნობა.

დღეს იქ იდგა, აიღო და ციხის მცველნი გამუსრა. იმავ დროს ხელთ იგდო ორბელიანთა ძვირფასი საუნჯენი და ყოველი ქონება და ლორის ასაღებად გაემართა. და რადგან ივანე გამაგრდა ციხეში 13 როტიტის თვისას და რადგან შიგ იმყოფებოდა მეპეკის 5-ამდე*), ციხეში მყოფნი სასოწარკვეთილებას მიეცნენ და დიდებულნი თითო-თითოდ ღამით ჩამოდიოდნენ თოკებით ციხის კედლებზედ და თავს უკრავდნენ მეფეს. ცოტა ხანს უკან წარჩინებულ დიდებულთაგან, თავის გულის სანდო მეგობართაგან წერილი მოუვიდა ივანეს; წერილი ისარს შემოაყოლეს და ურჩევდნენ - დამორჩილდი მეფეს, შეურიგდიო, – რადგან ეშინოდათ ათაბეგი ილდიღუზის ჯარებისა. წერილის შინაარსი ასეთი იყო:

„დიდებულო ივანე გმირო მამაცო და უძლეველო, შთამომავლობით ჩინელო, მძლავრის ხელმწიფისა შტოო, ივერიას შემოხიზნულო, სადაც დაუფასებელი დიდება შეიძინე; სასახლის უმაღლესო გამგეო და მეფის გიორგის მხედართ მთავარო, თუ შენი მშვიდობა გინდა, გიყვარს შენი სიცოცხლე და შურის ამძვრელი შენი დიდება, თუ გინდა შეირჩინო შენი მამული, რომელიც საქართველოს მეფის მამულის ნახევარზედ მეტია, დაივიწყე პირველი შენი ფიცი, შენი დაპირება და დავითის ანდერძი; დაემორჩილე გიორგის, მძლავრს ხელმწიფეს საქართველოსას; აიღე და მოართვი ძვირფასი ძღვენი ჭაბუკი დემნა, შვილი დავითისა, მიზეზი ურიცხ უბედურებისა, რომელიც თავს დაგაწვა შენს ციხეში.“

ეს წერილი რომ მიიღო, ივანემ პასუხი მისწერა, რომელიც ისარს მოაბა და ციხიდგან გარეთ გადისროლა:

„საყვარელო ჩემო დიდებულნო, მძლავრნო და შემძლებელნო თავადნო, მე ივანე ორბელიანმა წავიკითხე რჩევა თქვენს უსტარში მოწერილი, მაგრამ ვერ დავეთანხმე შიგ გამოთქმულს აზრებს. ადამიანი, რომელიც სიცოცხლის სიყვარულით გატაცებული, უღალატებს ღვთიურს კანონს და ფიცს

*) როტიტი – დეკემბერი, მეპეკი – ივლისი.

გასტეხს, იუდას ჯილდოს მიიღებს: ცეცხლში ეგდება უკუნითი უკუნისამდე ეშმაკთა შორის. მე არ შემიძლიან სუსტს და წარმავალს არსებას ერთის დღის სიცოცხლისა გამო ფეხით გავთელო აღთქმა მეფისადმი დადებული და წმინდა ფიცი გავტეხო; დეე, მოვკვდე ჩემის სიტყვის ერთგული ჩემს კეთილ მეფესთან; იქ მივიღებ დაუფასებელ ჯილდოს, რომელსაც ვეღარავინ წამართმევს.“

თუმცა ყოველივე ქართულად იყო დაწერილი, ჩვენ ვთარგმნეთ და სომხურად გავაწყეთ.

რა კი ნახეს, რომ უდრეკელი იყო მისი ნება, მედგრად შეუდგნენ ბრძოლას. მაგრამ დემნა, რომელიც მეტად ადვილად შეშინებულიყო, ღამით თოკით ჩამოძვრა ციხის კედელზედ, ბიძასთან მივიდა, დაუჩოქა და დააფიცა, სიცოცხლეს ნუ გამომწირავო. ეს რომ ნახა, გალაღებულმა მეფემ კაცი

გაგზავნა ივანესთან: „რა გქონდა სამტრო, – შეუთვალა გიორგიმ, – რად გწყეროდა ჩემთან შურის ძიება? ახლა რაღა საფუძველი გაქვს, რომ აჯანყებული იმყოფები? მართალსა ბრძანებს მეფე, უპასუხა ივანემ, დაიფიცოს, რომ არას მავნებს, მამულს არ ჩამომართმევს, და ვეახლები. გიორგიმ ფიცი დასდო და ივანემაც გაბედა და მეფესთან მივიდა. მეფემ სიხარულით აღსავსემ თავდაპირველად უსამძღვრო სიკეთით მიიღო, მრავალი წყალობა უბოძა, ვიდრე ყველა მის შვილებს და გვარეულობას ხელთ იგდებდა. მერმე კი ფიციც დაივიწყა, აღთქმაც, დააჭერინა ივანე და თვალები დაათხრევინა; რაც შეეხება დემნას, რომელსაც ივანეს ქალი ჰყავდა, ის არ აკმარა რომ დაჭერინა და თვალები ამოსთხარა, კიდევაც დაასახიჩრა, რომ მემკვიდრე აღარ მისცემოდა. ქავთარ, უნცროსი ძმა ივანესი, სემბატი მისი შვილი და ზინაი, მისი ძმისწული დახოცილ იქმნენ მეფის ბრძანებით; ყველა იმისი ნათესავნი, საზოგადოდ, კაცი და ქალნი დაიღუპნენ ან დახოცეს, ზოგნი სასმელით მოწამლულნი, ზოგნი წყალში დაახრჩეს, ზოგნი მაღალ კლდიდგან გადაჩეხეს, ისე რომ იმათი სახელის სხენებაც კი განქრა. მეფემ ბრძანება გასცა – აღმოეფხვრათ ყოველი

კვალი ორბელიანთა გვარისა და დაეწერათ ისტორია ამ აჯანყებისა არა ჭეშმარიტ მიზეზების დაკვალად, არამედ თანახმად თავის სურვილისა და მრავალ სიცრუით და სამარცხვინო ცილისწამებით გაავსებინა. გარდა მაგისა გამოაცხადებინა, დაწყევლილ იქმნება ყველა, ვინც საქართველოში იმათს სახელს ახსენებს, დაწყევლილ იქმნება, ვინც ორბელიანის გვარისა საქართველოში შემოსვლას გაბედავსო. და ეს საშინელი დადგენილება დაცულ იქმნა საშვილიშვილოდ. ეს მოხდა 626-1177 წ.

როგორც ანგარიშობენ, ათას წელიწადზედ მეტი არის მას შემდეგ, რაც ორბელიანები ჩინეთიდგან მოვიდნენ და ასე აწამა, ამოჟლიტა და განდევნა მემკვიდრეობით მამულებიდგან გიორგიმ ეს თავადიშვილნი. ზოგნი უგონებენ, გატაცებულნი იყვნენ სამეფო ტახტის სურვილითაო, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუვეა და ძაღლის ყეფა, რადგან იმათ თავიანთი სიცოცხლე გასწირეს მეფე დავითისადმი დადებულ აღთქმის ასასრულებლად, იმის შვილისა გამო, როგორც შეეფერება პატიოსანს კაცს, თავის ხელმწიფის ერთგულს. თავის წმინდა სამსჯავროში ღმერთი კარგად გაარჩევს, ვინ იყო მწამებელი და ვინ იყო წამებული.

ამასობაში ლიპარიტმა, ივანეს ძმამ, რომელიც ათაბაგ ილდიღუზთან იყო წასული თავისი ორი შვილით – ელიკუმ და ივანეთი – სპარსეთი შესძრა, თავის ძმის საშველად დიდი რაზმი წამოიყვანა, რომელსაც თითქმის 60 ათასი ცხენოსანი შეადგენდა. მაგრამ რაკი გაიგო შემაძრწუნებელი ამბავი, სთქვა: რა დამიშავეს უცოდველმა ქრისტიანებმა, იმათ ხომ ბრალი არა მიუძღვით რა დანთხეულ სისხლში, რომ ისინი დავსაჯო! უკან გაბრუნდა და ათაბაგ ილდიღუზთან დარჩა. საშინელმა სევდამ მოიცვა, დარდი მოერია და უცხოეთში მოკვდა. ერთი

იმის შვილთაგანი, ელიკუმი, იქვე დარჩა; ელიკუმის ძმა ივანე განჯის ემირთან მივიდა და იქ ცხოვრებდა დიდებით და წარ-ჩინებით აღვსილი. შემდეგ თამარ მეფის დროს დაიყოლიეს და მრავალი ხვეწნის და ფიცის შემდეგ შინ მივიდა. თავის

მამულებიდგან მხოლოდ ორბეთი-ღა დაუბრუნეს. დღევანდელი ორბელიანნი ივანეს შვილები არიან.

ორბელიანთა განდევნის შემდეგ გიორგიმ იმათი მამუ-ლები იმათ მტრებს და მოღალატეთ დაურიგა და დანარჩენი ყიფჩაყს ყუბასარს, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ. უკანასკნე-ლი ისე აამაღლა მეფემ, რომ ორბელიანთა კუთვნილი ჯარის უფროსობა უბოძა და საქართველოს ყველა ჯართა სარდლად გახადა. მაგრამ გიორგის სამეფო გვირგვინის მემკვიდრე ერთი ქალის, თამარის, მეტი არავინა ჰყავდა და მოკვდა 633-1184 წ.

ივ. მაჭავარიანი